
მაცდების
ნრო
ზურა და მისი
მეგობრები
ჰოსპისის ბავშვებს
რეგულარულად
ეხმარებიან

ტრაქეოსტომი არის მილი, რომლის დახმარებითაც ადამიანის სასუნთქ სისტემაში ჰაერი ხვდება მაშინ, როცა ორგანიზმი ამას ცხვირისა და პირის ღრუს საშუალებით ვერ ახერხებს. უკვე მძიმე ამბავია, ვინმეს ეს სამედიცინო პროცედურა რომ სჭირდება იმისთვის, რომ გადარჩეს. განსაკუთრებით, მაშინაა მძიმე, პაციენტი თუ ბავშვია.

ზურა ტატანაშვილმა, მას შემდე, რაც, ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში, ჰოსპისის ბავშვი ბენეფიციარებისა და მათი ოჯახების საჭიროებები იკვლია, გაიგო, რომ სხვა ძალიან ბევრ პრობლემასთან ერთად, როგორიცაა საკვებისა და ჰიგიენის საშუალებების არქონა, კიდევ ერთი მწვავე პრობლემა ედგათ ოჯახებს - ბავშვებს სასუნთქი გზების ინფექცია უვითარდებოდათ იმიტომ, რომ ტრაქეოსტომის დროულად გამოცვლის ფინანსური შესაძლებლობა არ ჰქონდათ. ჯანმრთელობის ისედაც მძიმე მდგომარეობას, კიდევ მეტად ამძიმებდა ინფექციით გამოწვეული სიცხე და ტკივილი. 2018 წელი იყო მაშინ და მას შემდეგ, მათთვის, ვისაც სჭირდება და ამის შესაძლებლობა არ აქვს, ტრაქეოსტომებს ყიდულობს.

თავიდან, სამსახურის ჯგუფში წერდა და საჭირო თანხაც იქვე გროვდებოდა ხოლმე. მერე, ერთხელ, ყოფილმა სტუდენტმა დახმარებისთვის ჰონორარი რომ არ გამოართვა და არც თვითონ უნდოდა დანებება, გამოსავლად მოიფიქრეს, რომ ამ თანხას, ტრაქეოსტომების შესაძენად მოგროვებულ ფულს შემატებდნენ. ეს ამბავი საჯაროდ რომ მოყვა, სხვა ადამიანებსაც გაუჩნდათ დახმარების სურვილი და ჯგუფიც გაფართოვდა.

ფიქრობს, რომ ქველმოქმედება საფრთხილო ამბავია; სიკეთე იმ განცდით უნდა აკეთო, რომ ვიღაცას შენზე ნაკლებად გაუმართლა და მის მდგომარეობაში შეიძლება ნებისმიერი ჩვენგანი აღმოჩენილიყო. თანაგანცდაა მნიშვნელოვანი.

არასდროს იღებს ფოტოებს მშობლებთან ერთად, ვისი შვილებისთვისაც აპარატი შეიძინა. ხილვადობა ასეთ დროს, ერთის მხრივ საჭიროა ხოლმე, ფინანსების მოძიებაში გეხმარება, მაგრამ მეორე მხრივ, ადამიანი, ვისაც ეხმარები, შეიძლება პირიქით - დააზიანო კიდეც. ამ შემთხვევაში კი, რადგან საქმე ბავშვებს ეხება, საჯაროობისგანაც თავს იკავებს. აპარატის შეძენის შემდეგ, ყოველთვის და მხოლოდ გადახდის ქვითარს აქვეყნებს, რაც სრულიად საკმარისია ხოლმე მათთვის, ვინც თანხა გაიღო. ნდობის ამბავია, რომელიც ზურას მიმართ აქვთ.

ამ დროის განმავლობაში რამდენიმე 5 ათასამდე ლარი მოგროვდა; როცა სჭირდებათ ხოლმე, ჰოსპისიდან ურეკავენ და ზურაც ახალ პოსტს წერს.